ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 10

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **27.09.2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ლანა გოგოძე,მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები (გრიგოლ მატარაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი და ნატო დვალი) ბოიკოტს უცხადებენ საკრებულოს მუშაობას და არ ესწრებიან საკრებულო სხდომას.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი-**თამარ ადეიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

2.ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65. 65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

4.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიმდინარე წელს-ა (ა)იპ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიძებისა და მართვის ცენტრ-ში განხორციელებული შესაბამისობის აუდიტის შედეგად მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე:

მომხს: თამარ ადეიშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 02 სექტემბრის N65-65242466 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება N გ-65.6524271001

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანიალია 16 ობიექტი ხოლო

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ათის წლის ვადით გადასაცემად 2 ობიექტი.
მომხსენებელმა დეპუტატებს წარმოუდგინა ეს ობიექტები:

1. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 55 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.590), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1650 (ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;
2. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 20 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.591), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;
3. სოფელ შუამთაში მდებარე 125 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.29.356), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1900 (ათას ცხრაასი) ლარი;
4. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზეინდარში მდებარე 28 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.17.25.787), საწყისი საპრივატიზებო საფასური 600 (ექვსასი) ლარი;
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუამთაში მდებარე 126 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.29.351), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1900 (ათას ცხრაასი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 27 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.29.352), საწყისი საპრივატიზებო საფასური 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;
7. ვანის მუნიციპალიტეტში სოფელ შუამთაში მდებარე 65 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.28.465), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;
8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიხაშხოში მდებარე 232 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.303), საწყისი საპრივატიზებო საფასური 240 (ორას ორმოცი) ლარი,
9. ქ. ვანში, შაფთაი ცურის ქუჩაზე მდებარე 27 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.720), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;
10. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. შუამთაში მდებარე 25 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.28.300), საწყისი საპრივატიზებო საფასური 400 (ოთხასი) ლარი;
11. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 48 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.594), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1400 (ათას ოთხასი) ლარი;
12. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.593), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1800 (ათას რვაასი) ლარი;
13. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 508 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.799), საწყისი საპრივატიზებო საფასური 7650 (შვიდი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

14. ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 8-ში მდებარე 521 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.30.372), საწყისი საპრივატიზებო საფასური 266000 (ორას სამოცდაექვსი ათასი) ლარი.

15.ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 26 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30.373), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;

16. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხესულორში მდებარე 60 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.16.22.473), საწყისი საპრივატიზებო საფასური 900 (ცხრაასი) ლარი.

იჯარით გასაცემი ობიაქტები:

1. ქ. ვანში, შოთა რუსთაველის ქ. N 6-ში მდებარე 1275 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობაზე (ს/კ 31.01.30.991), საწყისი წლიური საიჯარო ქირა 3000 (სამი ათასი) ლარი;

2. ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე N 31.01.29.376 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 10.5 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საწყისი წლიური საიჯარო ქირა 600 (ექვსასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ გამოითქვა შენიშვნა. კერძოდ, დიხაშხოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ილია დვალიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება სოფელ დიხაშხოში მდებარე 232 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.303), პრივატიზებაზე. დეპუტატმა აღნიშნა რომ, აქ მოსახლეობას განსაზღვრული ქონდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონების გაკეთება, ამიტომ კარგი იქნებოდა ჩემთან შეთანხმებით გადაგეწყვიტათ ამ ადგილის პრივატიზება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 17

წინააღმდეგი –1 (ილია დვალიშვილი)

გადაწყვიტეს: ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

განკარგულება N გ-65.65242712

მოისმინეს :

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით სალომინაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. სალომინაოში შერჩეული პროექტის-ტერიტორიის კეთილმოწყობა ღვთისმშობლის ტაძრის მიმდებარედ-4039 ლარი განხორციელდა სხვა ფონდის დაფინანსებით. აღნიშნული თანხიდან 39 ლარი გადახდილია წინამდებარე პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაში. მოსახლეობამ შეარჩია ახალი პროექტი გამყრელიძეების უბანში დამეწყრილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-4000 ლარი, ცვლილება შეხო საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოფლის პროგრამის N43 სტრიქონს. ახალ ჩამონათვალს დაემატა სტრიქონი 0-ტერიტორიის კეთილმოწყობა ღვთისმშობლის ტაძრის მიმდებარედ 39 ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება (აღნიშნული არ არის ინფრასტრუქტურული პროექტი), 43-ე სტრიქონზე ჩაიწერა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი ღირებულებით 4000 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 14 თებერვლის გ-65.65240452 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განკარგულება Nგ- 65.65242713

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათავისწინებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ადეიშვილმა წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიმდინარე წელს-ა (ა)იპ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიძებისა და მართვის ცენტრ-ში განხორციელებული შესაბამისობის აუდიტის შედეგად მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის მოსმენისცნობად მიღების თაობაზე:“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2023 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების თაობაზე“ -

შესაბამისად განხორციელდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიმდინარე წელს ა(ა)იპ „კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი“-ში შესაბამისობის აუდიტი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებულია არასრულყოფილად, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არ შეიცავს იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით. დაწესებულების მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისა და ხელშეკრულებების შესრულების/ფაქტიურად გადახდის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დროულად და სწორად ასახვის პროცედურებზე.

დაწესებულების ხელმძღვანელმა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს, სრულად იქნას გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ მეტი ყურადღება დაეთმოს შესყიდვების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების და მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების დროულად გაცნობა/შესწავლას. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს თანამშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამასაღლებელი ტრენინგ-კურსების გავლა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით. რაც ხელს შეუწყობს ცენტრის მიერ შესყიდვების განხორციელებას კანონმდებლობით გათვალიწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მიმდინარე წელს-ა (ა)იპ ,,კულტურული ღონისძიებების ორგანიძებისა და მართვის ცენტრ-ში განხორციელებული შესაბამისობის აუდიტის შედეგად მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე:“

განკარგულება გ-65.65242714

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.